საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6947
16/11/2022

6947-21-2-202211161345

ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალს
მის: ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა 14
ელ. ფოსტა: laint0@bp.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5995 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირში მდ. ყვირილას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 12), როდესაც ვარიაციული რიგის წევრთა რაოდენობა 30-ზე მეტია, ვარიაციის კოეფიციენტის გამოსათვლელ გამოსახულებაში მითითებული უნდა იყოს n, და არა n-1;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 12) მდ. ყვირილას წყლის მაქსიმალური ხარჯის საშუალო კვადრატული გადახრის გასამმაგებული მნიშვნელობა (582) მეტია მაქსიმალური ხარჯის საშუალო მრავალწლიურ სიდიდეზე (523). არსებული თანაფარდობა მეტყველებს ვარიაციული რიგის სტატისტიკურ არამდგრადობაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმე დათვლილი უნდა იყოს მდინარის კალაპოტის მრუდხაზოვანი უბნისათვის;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, დროებითი სამშენებლო მოედანზე (547 $მ^2$) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქე შეადგენს 30სმ-ს, მოხსნილი ფენის მაქსიმალური მოცულობა იქნება 164.10 $მ^3$. დროებითი სამშენებლო მოედნის ფართობის და ნიადაგის ნაყოფიერ ფენის მოცულობის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერ ფენის მოცულობა. ასევე

დასაზუსტებელია მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი მართვის საკითხი;

- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის (რიპრაპის) ქვების დასაწყობების უბანზე არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო ქვების დასაწყობება გათვალისწინებულია მდინარის მარცხენა ნაპირზე. დაზუსტებას საჭიროებს ნაპირსამაგრი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე სამშენებლო მასალების მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო